ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1935895

ნომერი: AR1307476

თარიღი : 06.05.2015

გაცემის თარიღი : 04.06.2015

გაცნობის თარიღი : 04.06.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა გიგაშვილი პ/ნ 01017055357
- თბილისი რუსთავის გზატ. N 28ა ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 06 მაისის AR1307476 განაცხადით მომართა ნიკა გიგაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
როგორც მოგეხსენებათ, 21.05.2015წ. #1909973 ბრძანებით ზემოაღნიშნულ განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და

განგესაზღვრათ 5 სამუშაო დღე, წარმოგედგინათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებით შთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესაბამის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

სამსახურის 21.05.2015წ. #1909973 ბრძანებას თქვენ გაეცანით 2015 წლის 21 მაისს, ხოლო განცხადება ხელახლა განხილვაზე შემოიტანეთ ამავე წლის 27 მაისს და დააზუსტეთ მოთხოვნა. კერძოდ, მიუთიტეთ, რომ საცხოვრებელი ფართის დათვლის დროს მეთერთმეტე სართულის ფართი 894.3 მ2 გამოტოვებულ იქნა. ასევე საზაფხულო ფართის დათვლის დროს გამოტოვებულ იქნა მეჩვიდმეტე სართულის საზაფხულო ფართი 402 მ2. 03.06.2015 წ #1930897 ბრძანებით, კვლავ დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ, ხარვეზის გამოსწორებისათვის დარჩენილი 1 დღის ვადაში მე–17 სართთულის გეგმაზე გაგესწორებინათ გამოტანილი ექსპლიკაცია, ამავე გეგმაზე დატანილი მაჩვენებლების დაჯამების შესაბამისად და წარმოგედგინათ ხარვეზის გამოსწორებისათვის დარჩენილ ვადაში. ასევე, განგემარტათ, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხევევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. #1915035 ბრძანების საფუძველზე, თქვენი 2015 წლის 06 მაისის AR1307476 განცხადება დარჩება განუხილველი.

03.06.2015 წელს, თქვენ ხელახლა დააბრუნეთ განცხადება განსახილველად და წარმოადგინეთ მე–17 სართულის გეგმა ტერასის ფართის გასწორებით. თუმცა, თქვენს მიერ კვლავ არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია და ხარვეზის გამოსწორებისათვის მოცემულ ვადაში არ გამოასწორეთ დადგენილი ხარვეზი. კერძოდ, მე–17 სართულის გეგმაზე დატანილი ციფრების ჯამი კვლავ არ შეესაბამება თქვენს მიერ მოთხოვნის ტექსტში მითითებულ 402კვ.მ–ს.

აქედან გამომდინარე, რადგან თქვენს მიერ არ იქნა გამოსწორებული ხარვეზი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.05.2015წ. №1915035 ბრძანების შესაბამისად, თქვენი განცხადება რჩება განუხილველი.

ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, განცხადება ხელახლა უნდა დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ–გვერდზე მოთხოვნის შესაბამის ნომენკლატურაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge